

პრესრელიზი

თბილისი, 25 მაისი, 2017 წ.

EU4ENERGY-ის პროექტი იწყებს განხილვებს რეგიონული თანამშრომლობისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საკითხებზე სამხრეთ კავკასიაში

ევროკავშირის პროგრამის, "ევროკავშირი ენერგეტიკისთვის" (EU4ENERGY) მონაწილეობით თბილისში გაიმართა პირველი "რეგიონული ენერგო სამიტი", რომელზეც თავი მოიყარეს ძირითადად დაინტერესებულმა მხარეებმა საქართველოდან, სომხეთიდან და თურქეთიდან.

ამ სამიტის მეშვეობით "EU4Energy მმართველობამ" მოიცვა რეგიონული განზომილება, რომელიც რეგიონის ქვეყნებს ეხმარება საკვანძო რეგიონული ენერგეტიკული პროექტების განსაზღვრაში, რათა ხელი შეეწყოს ვაჭრობასა და მიწოდების უსაფრთხოებას. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ენერგეტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გამოცდილება, ასევე განიხილეს ენერგო ბაზრებზე თანამშრომლობის საკითხები და საქართველოში მოსალოდნელი რეფორმები "ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების" ფარგლებში, ისევე როგორც ამ რეფორმების სარგებელი ტრანსსასაზღვრო ენერგეტიკული თანამშრომლობის მხრივ.

ღონისძიება მოეწყო "EU4Energy მმართველობის პროექტის", USAID-ის "მმართველობა განვითარებისათვის" (G4G) და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს თანაორგანიზებით.

ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს დირექტორმა, იანეს კოპაჩმა განაცხადა: "გამართული სავაჭრო პლატფორმების განვითარებას წამყვანი როლი აკისრია საქართველოში ელექტროენერჯის კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც ფართო რეგიონულ ბაზარზე მის ჩართვაში. ეს ასევე წარმოადგენს "ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების" ამოცანას, რომლის რატიფიცირებაც ახლახან მოახდინა ქვეყნის პარლამენტმა. "EU4Energy მმართველობის პროექტი" დახმარებას სთავაზობს რეგიონის ქვეყნებს, რათა ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების კვალდაკვალ, მოხდეს ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურული



პროექტებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. პროექტების შემდგომი განხორციელება გააუმჯობესებს დაკავშირებადობას, გაზრდის ენერჯით ვაჭრობას და მიწოდების უსაფრთხოებას".

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების უფროსმა, ვინსენტ რეიმ, ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: "მიწოდების უსაფრთხოება, ენერჯით ვაჭრობა და ურთიერთკავშირი წარმოადგენს ევროკავშირის ენერჯეტიკული დღის წესრიგის პრიორიტეტს რეგიონში. ევროკავშირი მხარში უდგას თავის პარტნიორებს და ეხმარება მათ EU4ENERGY პროგრამის მეშვეობით, ისევე როგორც ინვესტიციების განხორციელებით ელექტროენერჯის წარმოება-განაწილებაში, განახლება და ენერჯოეფექტურობაში".

პროექტი წარმოადგენს „EU4ENERGY ინიციატივის“ ნაწილს და მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ევროკავშირის მხარდაჭერას მტკიცებულებაზე დაფუძნებული ენერჯეტიკული პოლიტიკის შემუშავებისა და ენერჯოეფექტურობის მიმართ. აღმოსავლეთ პარტნიორობა აერთიანებს ევროკავშირს, მის წევრ ქვეყნებს და ექვს პარტნიორ ქვეყანას: სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

ენერჯეტიკული თანამეგობრობის სამდივნო

სვიტლანა კარპიშინა, განყოფილების უფროსის მოადგილე / განახლებადი ენერჯისა და ენერჯოეფექტურობის ექსპერტი, აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერის განყოფილება, ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნო

ელ-ფოსტა: Svitlana.Karpyshyna@energy-community.org

ტელ.: (+43) 1 535 22 22 253

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში:

თამრიკო მიქაძე, პრესისა და ინფორმაციის ოფიცერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ელ-ფოსტა: Tamriko.MIKADZE@eeas.europa.eu

ტელ.: (+995) 32 294 37 63